ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილის --------2016 წელი

ერთი მხრივ, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში: “მეიჯარე“), წარმოდგენილი - ..... (პირადი №...) სახით, რომელიც მოქმედებს გენერალური დირექტორის დ.თვალაბეიშვილის მიერ 2016 წლის ..... გაცემული .... მინდობილობის საფუძველზე.

და

მეორეს მხრივ, ...(შემდგომში: „მოიჯარე“) წარმოდგენილი .....(პირადი №...) სახით, რომელიც მოქმედებს .... გენერალური დირექტორის ..... მიერ 2016 წლის ... გაცემული .... მინდობილობის საფუძველზე,

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ მის საკუთრებაში არსებული ე.წ. სუფსის რკინიგზის ჩიხის (საკადასტრო კოდი:27.00.076) იჯარის ფორმით გადაცემის მიზნით .... წლის .... გამართული აუქციონის შედეგების, სააუქციონო პირობების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე (შემდგომში „ხელშეკრულება“) ხელმოწერის გზით შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საფუძველზე „მეიჯარე“ კისრულობს ვალდებულებას ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) წლის ვადით, იჯარით გადასცეს „მოიჯარეს“, ხოლო „მოიჯარე“ კისრულობს ვალდებულებას იჯარით მიიღოს „მეიჯარის“ საკუთრებაში არსებული ლანჩხუთის რაიონში, სოფელ სუფსაში მდებარე რკინიგზის ჩიხი (შემდგომში „ქონება“) საერთო სიგრძით 1 114, 52 გრძივი მეტრი (საკადასტრო კოდი: 27.00.076)

მუხლი2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. „მეიჯარე“ უფლებამოსილია:

2.1.1. „მოიჯარეს“ მოსთხოვოს იჯარით გადაცემული ქონების დაცვა და მოვლა-პატრონობა;

2.1.2. მოსთხოვოს „მოიჯარეს“ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

2.2. „მეიჯარე“ ვალდებულია:

2.2.1. გადასცეს „მოიჯარეს“ საიჯარო ქონება და არ დაუშვას გადაცემული ქონებით „მოიჯარის“ მიერ სარგებლობის შეზღუდვა ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან.

2.2.2. შეასრულოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2.3. „მოიჯარე“ უფლებამოსისლია:

2.3.1. მოსთხოვოს „მეიჯარეს“, წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

2.3.2. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ქონების მეშვეობით გაუწიოს სხვადასხვა სახის ტვირთების გადატვირთვასთან (გადაზიდვასთან) დაკავშირებული მომსახურება.
2.4. „მოიჯარე“ ვალდებულია:
2.4.1. იჯარით მიღებული ქონება გამოიყენოს დანიშნულებისამებრ, არსებული სტანდარტებისა და ნორმატივების დაცვით და უზრუნველყოს მისი უსაფრთხოებისათვის და დაცულობისათვის აუცილებელი ზომების მიღება და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დაცვა;
2.4.2. არ დაუშვას საიჯარო ქონების სარგებლობის მიზნის შეცვლა;
2.4.3. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს იჯარით მიღებული ქონების რემონტი, მოვლა-პატრონობა და ყველა იმ ღონისძიების განხორციელება, რომელიც საჭიროა ქონების ექსპლუატაციისთვის გამართულ მდგომარეობაში ყოფნისათვის. „მეიჯარის“ მოთხოვნის შემთხვევაში, „მოიჯარემ“ უნდა უზრუნველყოს ქონების ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობაში ყოფნის დადასტურება შპს „საქართველოს რკინიგზის“, ან სხვა უფლებამოსილი, კომპეტენტური პირის მეშვეობით.
2.4.4. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობა, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ჩიხის გაუმართავ მდგომარეობაში ყოფნა, ჩიხში ვაგონების ჩავარდნა, მოცდენა და სხვა, ეკისრება „მოიჯარეს“.
2.4.5 ქონების მეშვეობით „მეიჯარეს“, უსასყიდლოდ და მეიჯარისათვის სასურველი გრაფიკით გაუწიოს ნედლი ნავთობის გადატვირთვასთან დაკავშირებული მომსახურება.
2.4.6 „ნავთობისა და გაზის„ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ინვესტორი კომპანიების სტატუსის მქონე პირებს, მათთვის სასურველი გრაფიკით და მინიმალურ ფასად გაუწიოს ნედლი ნავთობის გადატვირთვასთან დაკავშირებული მომსახურება.
2.4.7 შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.
2.5. „მეიჯარის“თანხმობის გარეშე, „მოიჯარეს“ არ აქვს ქონების ქვეიჯარით გაცემის უფლება.
2.6. „მეიჯარეს“ არ ეკისრება ვალდებულება აუნაზღაუროს „მოიჯარეს“ იჯარით გადაცემული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ისე მისი დასრულების შემდგომ, ქონების დაბრუნების მომენტში.

მუხლი 3. ანგარისწორების წესი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მოიჯარის“ მიერ იჯარით მიღებული ქონების ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრება ..... ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე.
3.2. „მოიჯარე“ ვალდებულია ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნული თანხა გადაიხადოს „მეიჯარის“ საბანკო ანგარიშზე საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვის ჩათვლით.
3.3. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთცვევაში, „ მოიჯარე“ ვალდებულის გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დრისათვის გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით. „მოიჯარის“ მიერ გადახდილი თანხები პირველ რიგში

მიერმართება პირგასამტეხლოს დასაფარავად (ასეთის არსებობების შემთხვევაში), ხოლო, პირგასამტეხლოს სრულად დაფარვის შემდგომ, საიჯარო ქირის დასაფარავად.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა და უფლებამონაცვლეობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
4.2. ხელშეკრულებაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალი სრული ოდენობით.
4.3. „მოიჯარე“ ვალდებულია აუნაზღაუროს “მეიჯარეს“ ყველა ის ხარჯი, რომელიც შესაძლოა დაეკისროს „მეიჯარეს“ „მოიჯარის“ მიერ ვალდებულებებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების არაჯეროვნად შესრულების შედეგად.
4.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, მხართა რეორგანიზაციის, მესაკუთრეთა შეცვლის და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, არსებული სახით გადადის უფლებამონაცვლეებსა და სამართალმემკვიდრეებზე.

მუხლი 5. ხელშეკრულების ვადა და საიჯარო ქონების გადაცემა

5.1. ხელშეკრულება სრულ იურიდიულ ძალას იძენს სსიპ“ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრაციისმომენტიდან და მოქმედებს რეგისტრაციის დღიდან 5 წლის განმავლობაში.
5.2. ხელშეკრულების ვადამდე მოშლა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით დასაქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5.3. „მეიჯარე“ ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღესვე „მოიჯარეს“ გადასცემს საიჯარო ქონებას, რაზედაც მხარეებს შორის ფორმრდება მიღება-ჩაბარების აქტი.
5.5. ხელშეკრულების ვადის გასვლის ან მისი მოშლის შემთხვევაში არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც „მოიჯარეს“ აბარებს „მეიჯარეს“ ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში გათვალისწინებულ ქონებას, ამავე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ქონება დაბრუნების მომენტში უნდა იმყოფებოდეს ექსპლუატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში. ქონების დაბრუნების მომენტში, მისი ექსპლუატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში ყოფნა უნდა დადასტურდეს უფლებამოსილი, კომპეტენტური (შპს „საქართველოს რკინიგზის“ ან სხვა შესაბამისი სუბიექტის მიერ) პირის მიერ.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიანხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეები შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველით ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს,

რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).
6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს სათანადო ორგანოს მიერ გაცემული, დაუძლეველი ძალის მოვლენების (ფორს-მაჟორის) არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაუცველობის შემთხვევაში, მხარეს უფლება არა აქვს დაეყრდნოს ფორს-მაჟორს.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1. ნებისმიერი ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.
7.2. იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ამ ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
7.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ შეიძენს იურიდიულ ძალას.
7.4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“, ხოლო თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.
7.6. ხელშეკრულების სათანადო წესით დამოწმებისა და მისი სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრაციის ხარჯებს გაიღებს „მოიჯარე“.

მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„მეიჯარე“	„მოიჯარე“
სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“	----------